<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია

„2026 წლის 9 მაისს რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმს შორის გაფორმებულ ე.წ. „სამოკავშირეო ურთიერთქმედების გაღრმავების შესახებ“ ხელშეკრულებასა და ანექსიურ პოლიტიკაზე რეაგირების თაობაზე“

საქართველოს პარლამენტი:

ხელმძღვანელობს რა საქართველოს ეროვნული ინტერესებით; მხარს უჭერს რა საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და საერთაშორისო საზოგადოების საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს; ეყრდნობა რა საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, მათ შორის, საქართველოს კანონს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“;

მიესალმება რა დავაზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს (II, IV), რომ რუსეთის ფედერაცია, როგორც საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციისა და ამ ტერიტორიებზე ეფექტიანი კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო: პასუხისმგებელია რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შემდგომ პერიოდში მომხდარ ადამიანის უფლებათა უხეშ და პერმანენტულ დარღვევებზე; ვალდებულია გადაუხადოს საქართველოს მოქალაქეებს 253 მილიონი ევროს კომპენსაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო ბორდერიზაციის და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად განხორციელებული ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო.

მისალმება რა ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილებას 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ

განხორციელებული აგრესიის დროს ომის დანაშაულებათა ჩადენაზე პასუხისმგებელი ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების დაპატიმრების შესახებ;

ეხმიანება რა საქართველოს პარლამენტის 2013, 2016 და 2020 წლების ერთხმად მიღებულ რეზოლუციებს საგარეო პოლიტიკის შესახებ, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის 2014 წლის განცხადებას "რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის ანექსიის მცდელობის თაობაზე", საქართველოს პარლამენტის 2018 წლის რეზოლუციას „რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის" შესახებ" და საქართველოს პარლამენტის 2021 წლის რეზოლუციას "დეოკუპაციისა და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ";

გამოხატავს რა ღრმა შეშფოთებას რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და პრინციპების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიისა და ჰელსინკის დასკვნითი აქტის უხეში დარღვევის შედეგად ოკუპაციის გამო, რაც უგულებელყოფს წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს;

ღრმა შეშფოთებით, ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა და ევროკავშირის მიერ აღიარებული ქართველთა ეთნიკური წმენდის არაერთი ტალღისა და ეთნიკურ ქართველთა სახლების განადგურების შედეგად საქართველოს რეგიონებიდან აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან - ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირი - დევნილი მოკლებულია ფუნდამენტურ უფლებას, უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნდეს საკუთარ სახლში;

ადასტურებს რა საქართველოს ერთგულებას ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებისადმი, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და ძალის არგამოყენების ვალდებულებისადმი და ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნავს რა საქართველოს მისწრაფებას, განახორციელოს ინკლუზიური და ყოვლისმომცველი სამშვიდობო პოლიტიკა, რათა წარმატებით მოხდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, აგრეთვე საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებთა შერიგება, მათი უფლებების დაცვა, ჩართულობა და მათ შორის ნდობის აღდგენა;

პოზიტიურად აფასებს რა ამერიკის შეერთებული შტატების ასიგნებათა კონსოლიდირებულ აქტს, რომელიც კრძალავს იმ სახელმწიფოს მთავრობის დაფინანსებას, რომელმაც აღიარა რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობა ან/და მათთან ე.წ. დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა:

1. ადასტურებს, რომ საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი აღდგენა მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაცია და იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებების აღდგენა, მათ შორის, საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება და მათი საკუთრების უფლების დაცვა, საქართველოს კანონიერი უფლება, ეროვნული ინტერესი, სტრატეგიული მიზანი და უპირველესი პრიორიტეტია.

2. ერთხმად და მტკიცედ გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის - ოკუპაციას და მათი ანექსიისკენ მიმართულ ნაბიჯებს. მათ შორის ოკუპირებულ რეგიონებთან გაფორმებულ ე.წ. ინტეგრაციულ ხელშეკრულებებს, რომლებიც სრულად უგულებელყოფს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებსა და

პრინციპებს, ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ძირს უთხრის მშვიდობასა და უსაფრთხოებას საქართველოში, შავი ზღვის რეგიონსა და, ზოგადად, ევროპაში, ამკვიდრებს სუვერენიტეტის ხელყოფის მანკიერ პრეცედენტს.

3. უკიდურესი შეშფოთებით აღნიშნავს და გმობს 2026 წლის 9 მაისს რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმს შორის გაფორმებულ ე.წ. „სამოკავშირეო ურთიერთქმედების გაღრმავების შესახებ“ ხელშეკრულებას, რომელიც წარმოადგენს რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივი ანექსიის მორიგ ეტაპს. აღნიშნული “ხელშეკრულება”, რომელიც აცხადებს, რომ მხარეები “ხელმძღვანელობენ თავიანთი ხალხის ერთიანობის ნებით”, მიმართულია ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის სოციალური, ეკონომიკური, სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის რუსეთის ფედერაციაში უკანონო ინტეგრაციისკენ, აძლევს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს ოკუპირებულ რეგიონში საჯარო თანამდებობების დაკავების უფლებას, რაც მოსკოვის მხრიდან პირდაპირი ადმინისტრაციული კონტროლის გაფართოების მცდელობაა. რეზოლუცია ასევე გულისხმობს "შეთანხმებული" საგარეო, თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებას. ამავდროულად, “ერთობლივი სასაზღვრო პოლიტიკის ფარგლებში”, მიმდინარეობს რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ცხინვალის რეგიონის მონაკვეთზე სასაზღვრო ბარიერების წაშლა, რაც მას ფაქტობრივად რუსეთის ადმინისტრაციულ სივრცეში ფაქტობრივ ინტეგრაციას ემსახურება. დოკუმენტი ასევე ახდენს, “ერთობლივი თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის” დეკლარირებას.

4. აცხადებს, რომ საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლის, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთებზე რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ცალმხრივი დელიმიტაციის და ოკუპირებული რეგიონების ან მათ ფარგლებში მყოფი ცალკეული ტერიტორიული ერთეულების ანექსიისკენ მიმართული ნებისმიერი ნაბიჯი უხეშად არღვევს საერთაშორისო

სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს, უკანონოა და მას, საერთაშორისო სამართლის თანახმად, ვერანაირი სამართლებრივი შედეგი ვერ ექნება.

5. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, როგორც ოკუპანტ სახელმწიფოს: დაუყოვნებლივ, სრულად და უპირობოდ გაიყვანოს თავისი სამხედრო და უსაფრთხოების ძალები საქართველოს ტერიტორიიდან და მოახდინოს საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაცია; სრულად შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, შესაძლებელი გახადოს საქართველოს ამ ორ რეგიონში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა და დაუშვას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მოქმედება მისი მანდატის შესაბამისად და ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების შეუზღუდავი საქმიანობა.

6. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას: გააუქმოს საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის - ე. წ. დამოუკიდებლობის უკანონო აღიარება და დე ფაქტო რეჟიმებთან გაფორმებული ე. წ. ხელშეკრულებები; შეწყვიტოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების უკანონო აღმართვა, მათ შორის სოფელ ჩორჩანასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე საოკუპაციო ხაზის გადმოწევის მცდელობა; დაასრულოს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უკანონო დაკავებების პრაქტიკა; უზრუნველყოს უკანონოდ დაკავებულ საქართველოს მოქალაქეთა დაუყოვნებლივი გათავისუფლება; გახსნას ე.წ. გამშვები პუნქტები და შესაძლებელი გახადოს ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილება; აგრეთვე აღმოფხვრას ნებისმიერი დაბრკოლება არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიას, დავით ბაშარულის, ირაკლი კვარაცხელიას და თამაზ გინტურის მკვლელობების საქმეებზე დამნაშავეთა მართლმსაჯულების წინაშე წარსადგენად;

7. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეწყვიტოს ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა, ეთნიკური ნიშნით ძალადობა და დისკრიმინაცია, მათ შორის, ქართული კვალის წაშლის მიზნით, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მიზანმიმართული

განადგურება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკურ ქართველებისთვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და აღმსარებლობის უფლებების შეზღუდვა.

8. კიდევ ერთხელ მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, მიიღოს შემზღუდავი ზომები იმ მთავრობების მიმართ, რომლებიც რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული რეგიონების ე. წ. დამოუკიდებლობის აღიარებით ხელყოფენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

9. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს სამშვიდობო მოლაპარაკებების ფორმატებისთვის ძირის გამოთხრა, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ლოკაციის შეცვლის მცდელობა და კონსტრუქციულად ჩაერთოს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში, რომელთა თანათავმჯდომარეები არიან ევროკავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია; კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების მნიშვნელოვან უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ პრობლემებთან დაკავშირებით იპოვოს გრძელვადიანი გამოსავალი და მიაღწიოს ხელშესახებ შედეგებს მოლაპარაკებების დღის წესრიგში არსებულ ძირითად საკითხებზე;

10. ხაზგასმით აღნიშნავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმებისა და ყველა დევნილის და იძულებით გადაადგილებული პირის საკუთარ სახლებში ნებაყოფლობითი, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისთვის პირობების შექმნის მნიშვნელობას; ასევე ხაზგასმით აღნიშნავს ყოველთვიური ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების (IPRM) რეგულარულად და ეფექტიანად ფუნქციონირების საჭიროებას და მოითხოვს 2018 წლიდან შეჩერებული გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის უპირობო აღდგენას.

11. მოუწოდებს საქართველოს მთავრობას წარმოადგინოს დეოკუპაციისა და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საერთო ეროვნული ხედვა და ჩამოაყალიბოს სტრატეგია ანექსიური პროცესების პრევენციის და საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები საზოგადოებების შერიგების, მათი უფლებების დაცვის, ჩართულობის და ნდობის აღდგენის მიზნით;

12. მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, აღადგინოს აქტიური დიპლომატია და მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი მუდმივად იყოს აქტუალური საერთაშორისო დღის წესრიგში და მოახდინოს საერთაშორისო ძალისხმევის შემდგომი კონსოლიდაცია საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციისა და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის.

13. მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებას, დაიკავოს თანამიმდევრული, ერთიანი და პრინციპული პოზიცია რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ოკუპაციისა და ანექსიის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რაც უმნიშვნელოვანესია საქართველოში, შავი ზღვის რეგიონსა და ზოგადად, ევროპაში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

14. მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, დაეყრდნოს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომსა და მის შედეგებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს და ეფექტიანად გამოიყენოს იგი, როგორც რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის - ოკუპაციისა და ამ რეგიონებში ადამიანის უფლებების დარღვევის ადმინისტრაციული პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი.

15. ადასტურებს მზადყოფნას, გააგრძელოს ინტენსიური და მჭიდრო თანამშრომლობა საკანონმდებლო ორგანოებსა და საპარლამენტო ასამბლეებთან როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში, რათა მოახდინოს ძალისხმევის

კოორდინაცია წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგისა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმების დასაცავად.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი**

თბილისი,
2026 წლის 27 მაისი